საჭმლის მომნელებელ სისტემაში სისხლდენის ნაწილობრივი მოხსნა ტრანექსამის მჟავის გამოყენებით (HALT-IT) - გამოცდა

მოკლე ინფორმაცია კვლევის შესახებ

Haemorrhage alleviation with tranexamic acid - Intestinal system

ტრანექსამის მჟავის გამოყენება კუჭნაწლავური სისხლდენის სამკურნალოდ: საერთაშორისო რანდომიზირებული ორმაგად ანონიმური პლაცებო-კონტროლირებადი გამოცდა

თქვენ (პაციენტი) გაქვთ სისხლდენა ნაწლავიდან, რაც სწრაფადაა შესაჩერებელი. გაგეწევათ სისხლდენის საწინააღმდეგო ყველა სახის მკურნალობა, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვატარებთ ამ საავადმყოფოში. ამასთან ერთად, ჩვენ გთავაზობთ, მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში. ეს კვლევა დაადგენს, ამცირებს თუ არა სისხლდენას სამკურნალო საშუალება სახელწოდებით ტრანექსამის მჟავა. ვიმედოვნებთ, ამ სამკურნალო საშუალების გამოყენებასმოჰყვება უკეთ გამოჯანმრთელების შედეგი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს საშუალება ეხმარება სხვა ტიპის სისხლდენის მქონე ადამიანებს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, მოქმედებს თუ არა ნაწლავური სისხლდენის დროს.

ამ კვლევაში პაციენტების ნახევარი მიიღებს საკვლევ საშუალებას (ტრანექსამის მჟავა), ხოლონახევარს მიეცემა ფიქტიური საშუალება (პლაცებო). თუ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ამ კვლევაში, თქვენ (პაციენტი) დაუყოვნებლივ მიიღებთ გამოსაკვლევ საშუალებას ან პლაცებოს. იგი მოგეცემათ 24 საათიანი წვეთოვანი გადასხმის სახით. ჩვენ ასევე დაგვჭირდება გარკვეული ინფორმაციის მიღება თქვენი (პაციენტი)სამედიცინო მდგომარეობის შესახებ და მისი გადაგზავნა ლონდონის ცენტრალურ ოფისში.

თუ სურვილი გაქვთ, უფრო მეტი შეიტყოთ კვლევის შესახებ ახლა, ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში, ჩვენ მოგვიანებით შეგატყობინებთ ამის შესახებ. გსურთ, რომ ჩვენ დავიწყოთ ხსენებული საშუალების გამოკვლევა?

დიახ, თანახმა ვარ, რომ დაიწყოთ.

_____	_____	_____
პაციენტის ან წარმომადგენლის სახელი და გვარი	თარიღი	ხელმოწერა (თითის ანაბეჭდი ან სხვა ნიშანი, თუ ხელმოწერა არ შეუძლია)

[ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება სიტყვიერად და არ საჭიროებს სიტყვასიტყვით გამოყენებას. შეიძლება მისი ადაპტირება თითოეული სიტუაციისთვის და მისი მიწოდება ხდება მხოლოდ საორიენტაციო ინსტრუქციის სახით გამოსაყენებლად. ხელმოწერილი ფორმა არ არის სავალდებულო და ხელმოწერის შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც იურიდიული ძალის მქონე ინფორმირებული თანხმობა.]